ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ია გაბედავა

კოლეგიის წევრი: არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ნ. მ.

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 121/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 24 აგვისტოს მომართა საჩივრის ავტორმა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 25 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიას ზეპირი ფორმით წარუდგინა ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის შეუთანხმდა ადვოკატ ლ. ბ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე, რომელმაც პირობა დადო, რომ გაუწევდა შესაბამის დახმარებას. ადვოკატმა შეისწავლა საქმის მასალები და შეხვდა ნ. მ.-ის მოდავე მხარეს - ნ.-ს ბაზრის დირექტორს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა განუცხადა, რომ ბაზრის დირექტორს მკაცრად დაელაპარაკა და უთხრა, რომ ის „ამ საქმეში თავს ვერ გაიმართლებდა".

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ლ. ბ. და მისი მოდავე მხარე თანასოფლებები აღმოჩნდნენ. ნ. მ.-ს ადვოკატმა ლ. ბ.-მ განუცხადა, რომ მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნ.-ს ბაზრის დირექტორმა მას საკვები პროდუქტები გაუგზავნა და გარდაცვლილი დედის საფლავის გაკეთებაში დაეხმარა. აღნიშნულის გამო, ადვოკატმა ლ. ბ.-მ ნ. მ.-ს განუცხადა, რომ ის ვეღარ გააგრძელებდა მის საადვოკატო მომსახურებას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოდავე მხარემ ადვოკატი „მოისყიდა", თუმცა მის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება მოიწონა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ პერიოდში, ადვოკატი ლ. ბ. ავარიის შედეგად დაშავდა, რის შემდგომაც, ადვოკატს საქმის მასალები გამოართვა.

1.4 ადვოკატმა ლ. ბ.-მ საჩივრის ავტორს გააცნო სხვა ადვოკატი, თუმცა ნ. მ.-მ არ ისურვა მიენდო ახალი ადვოკატისთვის მისი საქმე, რადგან არ მოეწონა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 07 სექტემბერს ადვოკატმა ლ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით, ის იმყოფებოდა ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურის ფოიეში, როგორც ერთ-ერთი ბრალდებულის ინტერესების დამცველი, რა დროსაც ადვოკატმა დაინახა, რომ მოხუცი ქალბატონი გამოვიდა პროკურორის ოთახიდან და აცხადებდა, რომ „აქედან გადავხტები და ნახავ თუ არ აგებ პასუხსო". ადვოკატი გამოელაპარაკა ნ. მ.-ს და დაპირდა, რომ იურიდიულ დახმარებას გაუწევდა მის საქმესთან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ნ. მ.-მ მას გადასცა საქმის მასალები, რისი გაცნობის შემდგომაც, აღმოჩნდა, რომ დამატებით საჭირო იყო მტკიცებულებების მოპოვება და შესაძლებელი იყო საქმის წარმოების დაწყება. ადვოკატი ლ. ბ. საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით შეხვდა პროკურორს, პოლიციის უფროსს, იმყოფებოდა შემოსავლების სამსახურში, საჯარო რეესტრში. 2016 წელს ნ. მ.-ის საქმესთან დაკავშირებით, ლ. ბ. შეხვდა ნ.-ს ბაზრის დირექტორს, რომელთანაც საუბარი სიტყვიერი დაპირისპირებით დაიწყო, თუმცა შემდგომ მიიღო გარკვეული ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, ბაზრის დირექტორმა ადვოკატ ლ. ბ.-ს განუცხადა, რომ ბაზრის ტერიტორიაზე, მის კუთვნილ მიწაზე მდებარე ნ. მ.-ის ჯიხური დაიწვა, რის გამოც, არსებულ ადგილზე „მაღაზიებს ააშენებდა და იმ ადგილზე ნ. მ.-ს მისცემდა ადგილს".

2.3 ადვოკატის განცხადებით, ბაზრის დირექტორი მისი თანასოფლელი აღმოჩნდა, რაზეც ნ. მ.-მ „იეჭვიანა", თუმცა შემდგომ, პროკურატურიდან ბაზრის დირექტორის მიმართ შეტანილი საჩივარი გამოითხოვა. ნ. მ.-ს სურდა სამოქალაქო წესით ედავა და მან 2016 წლის ოქტომბრის თვეში, ადვოკატ ლ. ბ.-ს გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შედგენილი სამოქალაქო სარჩელი, თუმცა ადვოკატი ლ. ბ. სისხლის სამართლის სპეციალისტი იყო და სამოქალაქო საქმეზე ვერ გაუწევდა მომსახურებას, ამასთან, იმ პერიოდში, ის ავარიის შედეგად ძლიერად დაშავდა და წოლითი რეჟიმი ჰქონდა, რის გამოც, მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა, თუმცა ნ. მ. მაინც ხშირად სტუმრობდა მას მოკითხვის მიზნით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან ნ. მ.-ს გააცნო ადვოკატი გ. ი., რომელიც იყო სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი, რომელმაც შეწყვიტა საჩივრის ავტორისთვის იურიდიული

დახმარების გაწევა, რადგანაც საჯარო რეესტრიდან საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ვერ იქნა გამოთხოვილი და საქმის გაგრძელებას არ ჰქონდა პერსპექტივა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან გაითვალისწინა ნ. მ.-ის მდგომარეობა და სრულიად უანგაროდ გაუწია საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი არ უნდა შეხებოდა მისი გარდაცვლილი დედის დაკრძალვის საკითხს ასე უხეშად, რაც უპატიებელია. ადვოკატმა ლ. ბ.-მ ავარიაში მოყოლის შემდგომ, ნ. მ.-ს გადასცა საქმესთან დაკავშირებული მასალები, სრულად - ორ ტომად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ნ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 23 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ლ. ბ. საჩივრის ავტორის მოდავე მხარის თანასოფლელი აღმოჩნდა, რის გამოც მოდავე მხარემ ადვოკატი „მოისყიდა“.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის

მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს".

5.3 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მისი საქმის წარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელებას.

5.4 ადვოკატმა კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად უნდა იმოქმედოს და შეასრულოს საპროცესო მოქმედებები პირადი თუ სხვა პირების ინტერესების გავლენის გარეშე. „კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ადვოკატის ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს"[1].

5.5 მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება სისხლის სამართლის საქმეზე საჩივრის ავტორისთვის. მოდავე მხარეს წარმოადგენდა ნ.-ს ბაზრის დირექტორი. საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ ადვოკატი გაეცნო საქმესთან დაკავშირებულ მასალებს, მათ შორის შეხვდა მის მოდავე მხარეს, თუმცა პრეტენზიაში უთითებს, რომ ადვოკატი ლ. ბ. და მისი მოდავე მხარე თანასოფლელები აღმოჩნდნენ, ამიტომ ადვოკატი „მოისყიდა" ბაზრის დირექტორმა (იხ. პუნქტი 1.3).

5.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. მ.-ის საქმის გამოკვლევის მიზნით, მიმართა სათანადო ორგანოებს, თუმცა შემდგომ, ავარიის შედეგად, მძიმედ დაშავდა და ვეღარ შეძლო ნ. მ.-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, ამასთან, ადვოკატი უთითებს, რომ საჩივრის ავტორმა გამოითხოვა პროკურატურიდან საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი, რის შემდგომაც, სურდა ეწარმოებინა სამოქალაქო დავა და ის როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტი საქმეში ვეღარ ჩაერთვებოდა. ადვოკატი არ იზიარებს პრეტენზიას, საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის მიერ მისი „მოსყიდვის" თაობაზე და განმარტავს, მისი გარდაცვლილი დედის ასეთ კონტექსტში მოხსენიება საჩივრის ავტორის მიერ უპატიებელია.

5.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად და იმგვარად, რომ საფრთხის ქვეშ არ დააყენოს კლიენტის ინტერესები და საქმე აწარმოოს პირადი და მესამე პირთა ინტერესების გავლენის გარეშე.

5.8 მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ლ. ბ.-მ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, იმოქმედა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მითუმეტეს, რომ საჩივრის ავტორის განმარტებიდან ირკვევა, ადვოკატის ნებას არ წარმოადგენდა მიეღო რაიმე საჩუქარი მოდავე მხარისგან და სწორედ იმ გარემოების

[1] ,,ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი ,,სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 29.

გათვალისწინებით, რომ მოდავე მხარემ მისი ნების საწინააღმდეგოდ გაუწია გარკვეული დახმარება, შეწყვიტა საჩივრის ავტორის საადვოკატო მომსახურება. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი მხარეთა პოზიციებისა და მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე, კოლეგია აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი საფუძველი, ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერად და კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ შესაძლო მოქმედების დასასაბუთებლად.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №121/18 ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/